

გამოყენების ინსტრუქცია  
ვაქსიგრიპი

საინექციო სუსპენზია ავსებულ შპრიცში  
გრიპის ვაქცინა (გახლეჩილი ვირიონი, ინაქტივირებული)

2018/2019 სეზონი

თქვენი ან თქვენი ბავშვის ვაქცინაციამდე ყურადღებით წაიკითხეთ ინსტრუქცია, რადგან ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ ინსტრუქცია. შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.
- ეს ვაქცინა დაგენიშნათ მხოლოდ თქვენ ან თქვენს ბავშვს. არ გადასცეთ იგი სხვა პირებს.
- თუ ბავშვს აღენიშნება გვერდითი ეფექტები, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს მოიცავს იმ გვერდით ეფექტებსაც, რომლებიც ამ ინსტრუქციაში ჩამოთვლილი არ არის. იხ. პარაგრაფი 4.

**რა არის მოცემული ამ ინსტრუქციაში**

1. რა არის ვაქსიგრიპი და რისთვის გამოიყენება
2. რა უნდა იცოდეთ სანამ თქვენ ან თქვენი ბავშვი ვაქსიგრიპს გამოიყენებთ
3. როგორ გამოიყენება ვაქსიგრიპი
4. შესაძლო გვერდითი ეფექტები
5. როგორ ინახება ვაქსიგრიპი
6. შეფუთვის შემადგენლობა და სხვა ინფორმაცია

**1. რა არის ვაქსიგრიპი და რისთვის გამოიყენება**

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: გრიპის ვაქცინა – ATC Code: J07BB02

ვაქსიგრიპი არის ვაქცინა.

ეს ვაქცინა გეხმარებათ თქვენ ან თქვენს ბავშვს გრიპისგან დაცვაში. ვაქსიგრიპის გამოყენება უნდა მოხდეს ოფიციალური რეკომენდაციების მიხედვით.

როდესაც პირი იღებს ვაქსიგრიპს, იმუნური სისტემა (ორგანიზმის ბუნებრივი დამცავი სისტემა) წარმოქმნის საკუთარ დაცვას (ანტისხეულები) დაავადების წინააღმდეგ. ვაქცინის არც ერთ ინგრედიენტს არ შეუძლია გრიპის გამოწვევა.

გრიპი არის დაავადება, რომელიც სწრაფად ვრცელდება და გამოწვეულია სხვადასხვა ტიპის შტამებით, რომლებსაც ყოველ წელს შეცვლა შეუძლიათ. სწორედ ამიტომ შეიძლება, რომ თქვენ და თქვენ ბავშვს გჭირდებოდეთ ყოველწლიური ვაქცინაცია. გრიპით დაავადების რისკი ყველაზე მაღალია ცივ თვეებში, ოქტომბრიდან მარტამდე. თუ თქვენ ან თქვენ ბავშვს ვაქცინაცია არ გაგიკეთებიათ შემოდგომაზე, კვლავ შესაძლებელია გაზაფხულამდე ვაქცინაცია რადგან მანამდე არსებობს გრიპით დაავადების რისკი. ექიმი შეგიჩვენებთ ვაქცინაციისთვის საუკეთესო დროს.

ვაქსიგრიპი განკუთვნილია თქვენი და თქვენი ბავშვის დაცვისთვის ვაქცინაში შემცველი ვირუსის სამი შტამისგან, ინექციიდან 2-3 კვირის შემდეგ. გრიპის საინკუბაციო პერიოდი რამდენიმე დღეს შედგენს, ამიტომ, თუ თქვენ ან თქვენი ბავშვი გრიპისადმი ექსპოზირებულნი ხართ უშუალოდ ვაქცინაციამდე ან ვაქცინაციისთანავე, შეიძლება მაინც დაავადდეთ.

ვაქცინა არ დაგიცავთ ჩვეულებრივი გაციებისგან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგი სიმპტომი გრიპის მსგავსია.

## **2. რა უნდა იცოდეთ სანამ თქვენ ან თქვენი ბავშვი ვაქსიგრიპს გამოიყენებთ**

იმისათვის, რათა დარწმუნდეთ, რომ ვაქსიგრიპი სასარგებლოა თქვენთვის ან თქვენი ბავშვისთვის, მნიშვნელოვანია ექიმს ან ფარმაცევტს აცნობოთ თუ რომელიმე ქვემოაღნიშნული პუნქტი გეხებათ. თუ რაიმეს ვერ გაიგებთ, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

### **არ გამოიყენოთ ვაქსიგრიპი:**

- თუ თქვენ ან თქვენს ბავშვს ალერგია გაქვთ:
- აქტიურ ნივთიერებაზე ან
- ვაქცინის ნებისმიერ სხვა ინგრედიენტზე (ჩამოთვლილი მე-6 პარაგრაფში) ან
- ნებისმიერ კომპონენტზე, რომელიც შეიძლება ძალიან მცირე რაოდენობით იყოს წარმოდგენილი როგორც კვერცხი (ოვალბუმინი, ქათმის ცილები), ნეომიცინი, ფორმალდეჰიდი ან ოქტოქსინოლ-9,
- თუ თქვენ ან თქვენს ბავშვს ალგენიშნებათ მაღალი ან საშუალო ტემპერატურით მიმდინარე ან მწვავე დაავადება, ვაქცინაცია გამოჯანმრთელებამდე უნდა გადაიდოს.

### **გაფრთხილებები და უსაფრთხოების ზომები**

ვაქსიგრიპის გამოყენებამდე მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ვაქცინაციამდე უნდა აცნობოთ ექიმს, თუ თქვენ ან თქვენს ბავშვს ალგენიშნებათ:

- სუსტი იმუნური პასუხი (იმუნოდეფიციტი ან იღებთ იმუნურ სისტემაზე მოქმედ მედიკამენტებს),
- სისხლდენის პრობლემები ან სისხლჩაქცევების ადვილად განვითარდება.

ექიმი გადაწყვეტს, უნდა გაკეთდეს თუ არა ვაქცინაცია.

ინექციის შემდეგ (ძირითადად მოზარდობის პერიოდში) ან ინექციამდეც, შეიძლება განვითარდეს გულისწასვლა. აქედან გამომდინარე, აცნობეთ ექიმს ან ექთანს, თუ წინა ინექციის დროს აღინიშნა გულისწასვლის ეპიზოდი.

თუ რაიმე მიზეზით თქვენ ან თქვენს ბავშვს ვაქცინაციიდან რამდენიმე დღის განმავლობაში გიტარდებათ სისხლის ანალიზი, აცნობეთ ექიმს. ეს საჭიროა, რადგან რამდენიმე ვაქცინირებულ პაციენტში აღინიშნა სისხლის ცრუ დადებითი ანალიზები.

როგორც ყველა ვაქცინამ, ვაქსიგრიპმაც შეიძლება არ დაიცვას ყველა ვაქცინირებული პირი.

### **ბავშვები**

იხილეთ პარაგრაფი: `გაფრთხილებები და უსაფრთხოების ზომები`

### **სხვა მედიკამენტები და ვაქსიგრიპი**

აცნობეთ ექიმს თუ თქვენ ან თქვენი ბავშვი იღებთ, ბოლო პერიოდში მიღებული გაქვთ ან გეგმავთ რაიმე სხვა ვაქცინის ან მედიკამენტის მიღებას.

- ვაქსიგრიპის გამოყენება შეიძლება სხვა ვაქცინებთან ერთად, სხვა კიდურზე.
- იმუნოლოგიური პასუხი შეიძლება დაქვეითდეს იმუნოსუპრესიული მკურნალობის შემთხვევაში როგორც კორტიკოსტეროიდები, ციტოტოქსიური პრეპარატები ან რადიოთერაპია.

### **ორსულობა და ძუძუთი კვება**

თუ ორსულად ხართ ან ბავშვს ძუძუთი კვებავთ, ორსულობას ეჭვობთ ან გეგმავთ, ვაქცინის გამოყენებამდე რჩევა კითხეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გრიპის ვაქცინების გამოყენება შესაძლებელია ორსულობის ყველაზე ეტაპზე. პირველ ტრიმესტრთან დაკავშირებით არსებულ მონაცემებთან შედარებით, მონაცემთა უფრო დიდი ბაზებია ხელმისაწვდომი მეორე და მესამე ტრიმესტრთან დაკავშირებით. თუმცა, გრიპის ინაქტივირებული ვაქცინის მსოფლიო მასშტაბით გამოყენების მონაცემები არ აჩვენებს ნაყოფის ან დედისთვის რაიმე გვერდით მოვლენას, რომელიც ვაქცინასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

თქვენი ექიმი/ფარმაცევტი გადაწყვეტს, უნდა მიიღოთ თუ არა ვაქსიგრიპი.

## ავტომობილის მართვა და მექანიზმების გამოყენება

ვაქსიგრიპი არ მოქმედებს ან უმნიშვნელო გავლენას ახდეს ავტომობილის მართვის ან მექანიზმებთან მუშაობის უნარზე.

## ვაქსიგრიპი შეიცავს კალიუმს დანატრიუმს

მედიკამენტი შეიცავს 1მმოლ-ზე (39მგ) ნაკლებ კალიუმს და ნატრიუმს (23მგ) ერთ დოზაზე ანუ ფაქტიურად კალიუმისგან და ნატრიუმისგან თავისუფალია.

### 3. როგორ გამოიყენება ვაქსიგრიპი

მოზრდილებში გამოიყენება 0.5მლ დოზა.

#### გამოყენება ბავშვებში და მოზარდებში

36 თვის და უფროსი ასაკის ბავშვებში გამოიყენება ერთი 0.5მლ დოზა.

6 - 35 თვის ბავშვებში გამოიყენება 0.25მლ დოზა.

ადგილობრივი რეკომენდაციების შესაბამისად, შესაძლებელია 0.5მლ დოზის გამოყენება.

თუ ბავშვი 9 წელზე უმცროსი ასაკისაა და ადრე არ ჩატარებია გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, მეორე 0.5მლ დოზის გამოყენება უნდა მოხდეს მინიმუმ 4 კვირის ინტერვალით.

ექიმი ვაქცინის რეკომენდებულ დოზას ინექციის სახით შეიყვანს კუნთში ან ღრმად კანქვეშ.

პროდუქტის გამოყენების შესახებ დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

#### თუ თქვენ თქვენმა ბავშვმა მიიღეთ საჭიროზე მეტი ვაქსიგრიპი

არსებობს შემთხვევები, როდესაც რეკომენდებულ დოზაზე მეტი ოდენობით ვაქსიგრიპი მიიღეს.

ასეთ შემთხვევებში, როდესაც შეტყობინებული იქნა გვერდითი რეაქციები, ინფორმაცია შეესაბამებოდა მე-4 თავში აღწერილ ეფექტებს.

### 4. შესაძლო გვერდითი ეფექტები

როგორც ყველა მედიკამენტმა, ამ ვაქცინამ შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი ეფექტები, თუმცა ისინი ყველას არ უვითარდება.

ალერგიული რეაქციები

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს თუ თქვენ ან თქვენს ბავშვს აღგენიშნებათ მწვავე ალერგიული რეაქციები:

- რომელთა დროსაც შეიძლება საჭირო გახდეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სისხლის დაბალი წნევით, სწრაფი, ზედაპირული სუნთქვით, გულისცემის აჩქარებით და სუსტი პულსით, ცივი, ნამიანი კანით, თავბრუსხვევა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კოლაფსი (შოკი).

- შეშუპება ყველაზე მეტად თავის და კისრის მიდამოში, სახის, ტუჩები, ენის, ყელის ან სხეულის სხვა ნაწილის ჩათვლით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ყლაპვის ან სუნთქვის გაძნელება (ანგიოედემა).

მიაკითხეთ ექიმს, თუ თქვენ ან თქვენს ბავშვს გაქვთ ალერგიული რეაქციები, რომლებიც აზიანებს:

- კანს: როგორცაა ქავილი, ბუშტუკები, გამონაყარი, სიწითლე, შეშუპება და დახეთქვა (ატოპიური დერმატიტი), ალერგია

- თვალები: როგორცაა თვალში სისხლჩაქცევები (ოკულარული ჰემორაგია), სიწითლე და თვალის გაღიზიანება (ალერგიული კონიუნქტივიტი);

- ყელი და ცხვირი: როგორცაა ყელის გაღიზიანება, ყელის ტკივილი, ცხვირის ღრუს ალერგიული გაღიზიანება, ცხვირიდან გამონადენი, ცემინება, ცხვირის, სინუსის ან ყელის დახშობა;

- პირის ღრუ: როგორცაა დაბუჟება ან ჩხვლეტის შეგრძნება (ორალური პარესთეზია); გამონაყარი (პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანება);

- სუნთქვა: როგორცაა ასთმა, სუნთქვის გაძნელება (დისპნოე).

ეს გვერდითი რეაქციები აღწერილია, როგორც ნაკლებად ხშირი (შეიძლება განვითარდეს 100-დან 1

შემთხვევაში) და იშვიათი (შეიძლება განვითარდეს 1000-დან 1 შემთხვევაში).

**სხვა გვერდითი რეაქციები**

ძალიან ხშირი (შეიძლება განვითარდეს 10-იდან 1-ზე მეტ შემთხვევაში) მოზრდილებსა და ხანდაზმულებში

- თავის ტკივილი,
- კუნთების ტკივილი,
- თვითგრძნობის გაუარესება<sup>(1)</sup>,
- ინექციის ადგილის ტკივილი

ხშირი (შეიძლება განვითარდეს 10-იდან 1 შემთხვევაში) მოზრდილებსა და ხანდაზმულებში

- კანკალი, ცხელება<sup>(1)</sup>,
- ინექციის ადგილის რეაქციები: სიწითლე, გამაგრება, შეშუპება.

ნაკლებად ხშირი (შეიძლება განვითარდეს 100-დან 1 შემთხვევაში) მოზრდილებსა და ხანდაზმულებში

- კისრის, ილიის ან საზარდულის ჯირკვლების შეშუპება<sup>(1)</sup>
- უჩვეულო სისუსტე<sup>(1)</sup>, დაღლილობა, ძილიანობა<sup>(2)</sup>, თავბრუსხვევა<sup>(2)</sup>, მომატებული ოფლიანობა<sup>(1)</sup>;
- სახსრების ტკივილი<sup>(1)</sup>,
- გულისრევა, დიარეა, დაღლილობა,
- ინექციის ადგილის რეაქციები: სისხლჩაქცევა, ქავილი, გათბობა<sup>(1)</sup>, დისკომფორტი

იშვიათი (შეიძლება განვითარდეს 1000-დან 1 შემთხვევაში) მოზრდილებსა და ხანდაზმულებში

- დაბუჟება ან ჩხვლეტის შეგრძნება (პარესთეზია), მგრძნობელობის დაქვეითება (ჰიპოესთეზია)<sup>(3)</sup>
- ლებინებია, მადის დაქვეითება, მუცლის ტკივილი<sup>(3)</sup>
- გრიპის მსგავსი სიმპტომები<sup>(3)</sup>
- ინექციის ადგილის რეაქციები: კანის აქერცვლა<sup>(4)</sup>, ალერგია<sup>(3)</sup>

(1) ნაკლებად ხშირია ხანდაზმულებში

(2) ნაკლებად ხშირია მოზრდილებში

(3) მოზრდილებში

(4) ხანდაზმულებში

ძალიან ხშირი (შეიძლება განვითარდეს 10-იდან 1-ზე მეტ შემთხვევაში) 3-17 წლის ბავშვებსა და მოზარდებში

- თავის ტკივილი,
- კუნთების ტკივილი,
- თვითგრძნობის გაუარესება, კანკალი<sup>(6)</sup>,
- ინექციის ადგილის რეაქციები: ტკივილი, სიწითლე, შეშუპება, გამაგრება<sup>(5)</sup>.

ხშირი (შეიძლება განვითარდეს 10-იდან 1 შემთხვევაში) 3-17 წლის ბავშვებსა და მოზარდებში

- ცხელება, კანკალი<sup>(5)</sup>
- ინექციის ადგილის რეაქციები: სისხლჩაქცევა<sup>(5)</sup>, გამაგრება<sup>(6)</sup>

ნაკლებად ხშირი (შეიძლება განვითარდეს 100-დან 1 შემთხვევაში) 3-17 წლის ბავშვებსა და მოზარდებში

- კისრის, ილიის ან საზარდულის ჯირკვლების შეშუპება<sup>(5)</sup>, უჩვეულო სისუსტე<sup>(6)</sup>, დაღლილობა, თავბრუსხვევა<sup>(6)</sup>, ტირილი<sup>(5)</sup>
- დიარეა<sup>(5)</sup>, მუცლის ტკივილი<sup>(5)</sup>
- ინექციის ადგილის რეაქციები: სისხლჩაქცევა<sup>(6)</sup>, ქავილი, ინექციის ადგილის გათბობა<sup>(6)</sup>, დისკომფორტი<sup>(6)</sup>

ძალიან ხშირი (შეიძლება გამოვლინდეს 10-დან 1 -ზე მეტ შემთხვევაში) 6-35 თვის ბავშვებში:

- თავის ტკივილი<sup>(7)</sup>, უჩვეულო ტირილი<sup>(8)</sup>, გაღიზიანებადობა<sup>(8)</sup>, ძილიანობა<sup>(8)</sup>
- კუნთების ტკივილი<sup>(7)</sup>
- ცხელება, მადის დაკარგვა<sup>(8)</sup>,
- ინექციის ადგილის რეაქციები: ტკივილი/მგრძობელობა, სიწითლე, სისხლჩაქცევა, შეშუპება

ხშირი (შეიძლება გამოვლინდეს 10-დან 1 შემთხვევაში) 6-35 თვის ბავშვებში

- ღებინება<sup>(8)</sup>, დიარეა
- კანკალი<sup>(7)</sup>

(5) 3-8 წლის ასაკი

(6) 9-17 წლის ასაკი

(7) 24-35 თვის ასაკი

(8) 6-23 თვის ასაკი

ქვემოთ ჩამოთვლილი გვერდითი რეაქციების სიხშირე უცნობია (შეუძლებელია მისი შეფასება არსებული მონაცემებით) მთლიან პოპულაციაში, გარდა იმ პოპულაციებისა, რომელთათვისაც გვერდითი რეაქციები ზემოთ არის აღწერილი:

- კისრის, ილიის ან საზარდულის ჯირკვლების შეშუპება;
- დაბუჟება ან ჩხვლეტის შეგრძნება (პარესთეზია);
- ნერვის გასწვრივ ლოკალიზებული ტკივილი (ნევრალგია)<sup>(9)</sup>
- კონვულსიები,
- ნევროლოგიური დარღვევები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კისრის რიგიდობა, კონფუზია, კიდურების დაბუჟება, ტკივილი და სისუსტე, წონასწორობის დაკარგვა, რეფლექსების დაკარგვა, სხეულის ნაწილის ან მთელი სხეულის დამბლა (ენცეფალომიელიტი, ნევრიტი<sup>(9)</sup>), გიენ-ბარეს სინდრომი<sup>(9)</sup>).
- სისხლძარღვების ანთება (ვასკულიტი), რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კანის გამონაყარი და ძალიან იშვიათ შემთხვევებში - თირკმლის დროებითი პრობლემები.
- სისხლის ზოგიერთი ელემენტის – თრომბოციტების რაოდენობის დროებითი შემცირება; ამ ელემენტების დაბალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს ჭარბი სისხლჩაქცევები ან სისხლდენა (ტრანზიტორული თრომბოციტოპენია)

(9) არ არის აღწერილი 6-35 თვის ბავშვებში.

გვერდითი ეფექტები ჩვეულებრივ ვითარდებოდა ვაქცინაციიდან პირველი 3 დღის განმავლობაში და სპონტანურად ქრებოდა 1-3 დღეში. გვერდითი ეფექტები იყო მსუბუქი ინტენსივობის.

### **გვერდითი ეფექტების შეტყობინება**

თუ თქვენ ან თქვენს ბავშვს აღგენიშნებათ გვერდითი ეფექტები, მიმართეთ ექიმს, ფარმაცევტს ან ექთანს. ეს მოიცავს გვერდით ეფექტებს, რომლებიც ამ ინსტრუქციაში ჩამოთვლილი არ არის. გვერდითი ეფექტების შეტყობინებით გვეხმარებით მედიკამენტის უსაფრთხოების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებაში.

### **5. როგორ ინახება ვაქსიგრიპი**

ვაქცინა შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვაქცინა არ გამოიყენოთ მარკირებაზე და კოლოფზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც აღნიშნულია EXP შემდეგ. ვარგისიანობის ვადა აღნიშნავს თვის ბოლო დღეს.

შეინახეთ მაცივარში (2°C – 8°C). არ გაყინოთ. შპრიცი შეინახეთ კოლოფში სინათლისგან დაცვისთვის.

მედიკამენტები არ გადაადგოთ ნარჩენ წყალთან ან საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად. კითხეთ ფარმაცევტს როგორ უნდა გადაადგოთ არასაჭირო მედიკამენტები. ეს ზომები ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას.

### **6. შეფუთვის შემადგენლობა და სხვა ინფორმაცია**

**რას შეიცავს ვაქსიგრიპი**

- აქტიურ ნივთიერებებია: გრიპის ვირუსი (ინაქტივირებული, გახლეჩილი) შემდეგი შტამების\*:  
A/ Michigan 45/2015 (H1N1)pdm 09 – მსგავსი შტამი  
(A/ Michigan 45/2015 NYMC X -275) ..... 15 მიკროგრამი HA\*\*  
A /Singapore/INFIMH -16-0019/2016(NH32) – მსგავსი შტამი  
(A /Singapore/INFIMH -16-0019/2016, IVR-186) ..... 15 მიკროგრამი HA\*\*  
B/ Colorado /06/2017 – მსგავსი შტამი  
(B/ Maryland /15/2016, NYMC BX-69A) ..... 15 მიკროგრამი HA\*\*

0.5 მლ დოზაზე

- გამრავლებული განაყოფიერებული ქათმის კვერცხში ჯანმრთელი ქათმის ფერმიდან

\*\* ჰემაგლუტინინი

ეს ვაქცინა შეესაბამება ჯანმოს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) რეკომენდაციებს (ჩრდილოეთ ნახევარსფერო) და EU გადაწყვეტილებას 2018/2019 სეზონისთვის.

- სხვა ინგრედიენტებია: ნატრიუმის ქლორიდის, დინატრიუმის ფოსფატ დიჰიდრატის, კალიუმის დიწყალბად ფოსფატის, კალიუმის ქლორიდის შემცველი ბუფერული ხსნარი და საინექციო წყალი. ზოგიერთი კომპონენტი როგორცაა კვერცხი (ოვალბუმინი, ქათმის ცილები), ნეომიცინი, ფორმალდეჰიდი ან ოქტოქსინოლ-9 შეიძლება იყოს ძალიან მცირე რაოდენობით (იხ. პარაგრაფი 2).

**ვაქსიგრიპის აღწერა და შეფუთვის შემადგენლობა**

ვაქსიგრიპი არის საინექციო სუსპენზია, გამოდის ავესებულ შპრიცში 0.5მლ დოზით, კოლოფში 1, 10, 20 ან 50.

ბაზარზე შეიძლება ხელმისაწვდომი არ იყოს ყველა ზომის შეფუთვა.

ნაზად შენჯღრევის შემდეგ ვაქცინა არის ოდნავ მოთეთრო და ოპალესცენტური სითხე.

**მარკეტინგის ლიცენზიის მფლობელი**

სანოფი პასტერი, 14 ესპეის ჰენრი ვალე, 69007 ლიონი, საფრანგეთი.

**ინსტრუქციის ბოლო რევიზიის თარიღი: 08/2018.**

**გაცემის წესი:** ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი II, გაიცემა ფორმა #3 რეცეპტით.

**შემდეგი ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებისთვის:**

როგორც ყველა საინექციო ვაქცინის შემთხვევაში, ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი სამკურნალო საშუალებები და ზედამხედველობა ვაქცინის გამოყენების შემდეგ ანაფილაქსიური რეაქციის განვითარების შემთხვევაში.

გამოყენებამდე ვაქცინამ უნდა მიაღწიოს ოთახის ტემპერატურას.

გამოყენებამდე შეანჯღრით. გამოყენებამდე ვიზუალურად დაათვალიერეთ.

ვაქცინა არ უნდა გამოიყენონ სუსპენზიაში უცხო ნაწილაკების არსებობის შემთხვევაში. არ შეიძლება შპრიცში სხვა სამედიცინო პროდუქტებთან შერევა.

ვაქცინის ინექცია არ უნდა მოხდეს უშუალოდ სისხლძარღვში.

**ინსტრუქცია 0.25მლ დოზის გამოყენების წესთან დაკავშირებით 6-35 თვის ბავშვებში**

როდესაც ნაჩვენებია ერთი 0.25 მლ -იანი დოზა, 0.5მლ-იანი შპრიცის შემცველობის განახევრებისთვის: შპრიცი უნდა დაიკავონ ვერტიკალურ პოზიციაში და დგუმის ჩამკეტი უნდა მიიყვანონ შპრიცზე დაბეჭდილ შავ ხაზამდე. შპრიცში დარჩენილი 0.25 მლ მოცულობით უნდა გაკეთდეს ინექცია. აგრეთვე იხ. პარაგრაფი 3. როგორ გამოიყენება ვაქსიგრიპი.